

ვებგვერდი, 30/01/2013
სარეგისტრაციო კოდი
040050000.22.055.016018

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
ბრძანება №01/37
2013 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი**

**„საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების
ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის
თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, №18, მუხლი 159, 2001წ.) დამტკიცებული დებულების მე-13 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ნიშნავს და ათავისუფლებს სათათბიროსთან არსებული კომისიის წევრებს“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი

ლევან ყიფიანი